საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/138

30 აგვისტო, 2021 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ბსუ-ს ,,მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 26 მარტის №07/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-5 მუხლის, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,2021 წლის 6 აგვისტოს აკრედიტებულ ,,მედიცინის'' ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N06-01/85 დადგენილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ. ქორიძის 2021 წლის 9 აგვისტოს MES 221 0000778499 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ერთსაფეხურიან ,,მედიცინის" საგანმანათლებლო პროგრამაზე (231 ვაკანტურ ადგილზე) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის.
2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული რიგგარეშე შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
   ა) სტუდენტთა განცხადებების მიღება - 2021 წლის 30, 31 და 1 სექტემბრის ჩათვლით სტუდენტურ პორტალზე კანცელარიული წესით (წერილი კანცელარიას, ადრესატი მერაბ ხალვაში).
   ბ) რიგგარეშე შიდა მობილობის შედეგად ბსუ-ს ,,მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და გამოცემა - 2021 წლის 7 სექტემბერი.

ბ) რიგგარეშე შიდა მობილობის შედეგად ბსუ-ს ,,მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და გამოცემა - 2021 წლის 7 სექტემბერი.

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე, ასევე სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს შესაბამის სტუდენტებს.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.
6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოთ ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და შესაბამის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**